შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებში:

**ჰუმანიტარული ფაკულტეტი:**

ქართული ფილოლოგიის მიმართულება:

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

ისტორიის მიმართულება :

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი:**

ბიზნესის მიმართულება:

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ჯანდაცვის ფაკულტეტი:**

ფარმაციის მიმართულება:

ასოცირებული პროფესორი- 1 საშტატო ერთეული

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

1. წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა.
2. გასაუბრება.

ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში შრომის პირობები განისაზღვრება ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

გასაუბრების დროს უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც პროფესიულ ცოდნასთან ერთად ფლობს ინფორმაციას უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

**კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე.
2. სამოტივაციო წერილი.
3. ავტობიოგრაფია.
4. დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები.

5. სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტურაში სწავლის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
6. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების სერთიფიკატების ასლები.
7. შრომის წიგნაკის ჩანაწერის ასლი.
8. ბოლო 5 წელიწადში წაკითხული კურსების დამადასტურებელი დოკუმენტი.
9. ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების დამადასტურებელი დოკუმენტების სია.
10. ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს კანდიდატის კვლევის უნარს, სილაბუსი.
11. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

კონკურსანტთა საბუთები მიიღება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, მისამართზე-ზუგდიდი ჯანაშიას ქ.№14, 2016 წლის 6 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 21 თებერვალს (საბუთების განხილვა), 24 თებერვალს (გასაუბრება).